ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 88

ქალაქი ქუთაისი 27 ივლისი 2022 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში, კერძოდ:

1. ამოღებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხიდან №77; №424; №425; №432 პუნქტები.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხას დაემატოს №433-№441 პუნქტები თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

28 07 22

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის
№88 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნ უ ს ხ ა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი
1	2	3	4	5
433	არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა I შესახვევი, №6-ის სამხრეთით	206.00	03.05.22.883
434	არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა №6-ის ჩრდილო–აღმოსავლეთით	730.00	03.01.24.997
435	არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, განჯის ქუჩა №12-ის მიმდებარედ	158.00	03.06.21.738
436	არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ბუხაიძის ქუჩა N18ა-ს ჩრდილოეთით	38.00	03.01.22.396
437	არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა–ნაგებობით	ქალაქი ქუთაისი, ლადო ასათიანის ქუჩა, მაშველი არხის მიმდებარედ	40.00	03.04.32.242
438	არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა–ნაგებობით	ქალაქი ქუთაისი, მჭედლიძის ქუჩა N28	მიწა - 95,51 კვ.მ. შენობა-ნაგებობა N1; საერთო ფართით 116,18 კვ.მ.	03.04.05.572
439	არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა–ნაგებობით	ქალაქი ქუთაისი, გორკის ქუჩა №43 (ნაკვეთი№02/405)	მიწა - 122.00 კვ.მ. შენობა-ნაგებობა საერთო ფართით 85,88 კვ.მ.	03.02.02.405
440	მოძრავი ქონება „КБ" - 100. „ЗА"-1 მოდელის კოშკურა ამწე	ქალაქი ქუთაისი, შევჩენკოს ქუჩა №12 (ს/კ №03.05.04.083)	1 ერთეული	–
441	ლითონის მილები და ჯართი (ქონების ჩამონათვალი იხილეთ აქვე)	ქალაქი ქუთაისი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მნკ ჯგუფის" (საიდენტიფიკაციო კოდის №404399469) კუთვნილი მიწის ნაკვეთი	–	–

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლითონის მილების და ჯართის რაოდენობის ჩამონათვალი

№	დასახელება	დიამეტრი (მილიმეტრი)	სისქე (მილიმეტრი)	სიგრძე (მეტრი)
1.	ლითონის მილი	219	8	305,5
2.	ლითონის მილი	219	9	19,5
3.	ლითონის მილი	219	10	280,5
4.	ლითონის მილი	219	11	32,20
5.	ლითონის მილი	219	12	57,18
6.	შავი ლითონის ჯართი – 932.3 კილოგრამი	–	–	–

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია